



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მეფეთა სალარო

„მეფეთა სალარო“, თარგმნილი ანონიმური ძეგლი. დიდაქტ.-მორალური ხასიათის იგავ-არაკების კრებული, რ-იც მოგვითხრობს მეფეთა და მმართველთა დანიშნულებასა და უფლება-მოვალეობაზე. ავტორი სახელმწ. მართვისა და ქვეშევრდომთა მოვლა-პატრონობის იდეალურ სურათს გვიხატავს. თეორიული მსჯელობა ყოველგვარი ჩარჩოს გარეშე სხვადასხვა კარშია განაწილებული და სათანადო არაკითაა ილუსტრირებული. 28 თავისაგან შემდგარი თხზ. ერთადერთი ნაკლები ხელნაწერით არის მოღწეული (A — 617). „მ. ს.“ სპარსულიდან უნდა იყოს ნათარგმნი არა უგვიანეს XVII საუკუნისა. თხზულების წყარო უცნობია.

*ტექსტი:* ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, ტ. 2, თბ., 1949.

*ლიტ.:* გოგინაიშვილი მ., „მეფეთა სალაროს“ ქართული თარგმანის საკითხისათვის, „ლიტერატურული ძიებანი“, 1989, [ტ.] 18; კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 2, თბ., 1981; კობიძე დ., ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, [ტ. 2], თბ., 1969.

**გ. მიქაძე**

---